ტერაკოტის არმია



დააკვირდი სურათს. შენი აზრით, რა მიზნით შეიქმნებოდა ასეთი ფიგურები?

ტერაკოტა თიხაა, ოღონდ გამომწვარი თიხა. 1974 წელს ჩინეთში თიხის უამრავი ფიგურა იპოვეს. ეს იყო მთელი არმია. მიწაში, 5-7 მ სიღრმეში, არც მეტი და არც ნაკლები, თიხის 8000 მეომარი იდგა. იქვე იყო 130 ეტლი, 150 **მხედარი** და 520 ცხენი.

მიწა თითქმის 2200 წელიწადს ინახავდა ამ საოცრებას. თიხის ჯარი ჩინეთის პირველი იმპერატორისთვის შეიქმნა. ჩინელებს სწამდათ, რომ მას მეომრები სიკვდილის შემდეგაც სჭირდებოდა. ალბათ გიკვირს, რისთვის? მიზანი უცნაურია. თურმე მეფეს იმ ქვეყნადაც დასჭირდებოდა მტრისაგან დაცვა.

როგორ შექმნეს თიხის მეომრები? ფიქრობენ, ყოველი მეომრის თავი ცალკე ჩამოასხეს, სხეული – ცალკე. შემდეგ კი შეაერთეს. ყველა მეომარი არის ადამიანის სიმაღლის. საოცარი ისაა, რომ არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს. თავის დროზე ეს ფიგურები შეღებილი ყოფილა. თუმცა დღეს მათ გადაცლილი აქვთ ფერი. ალბათ, იმიტომ, რომ დიდხანს იყვნენ მიწით დაფარული. არმია ნამდვილი იარაღით არის აღჭურვილი. ზოგ მეომარს შუბი უჭირავს, ზოგს – მშვილდი.

ტერაკოტის არმია ჩინეთის სიამაყეა. ჩინელებმა არქეოლოგიური თხრილი გადახურეს, რათა იგი **საგანგებოდ** იყოს დაცული. ფიქრობენ, რომ იქ კიდევ ბევრი **საიდუმლო** იმალება. ამ ადგილს ყოველ წელს ასი ათასზე მეტი ტურისტი სტუმრობს.

ძველი ჩინელების რა წარმოდგენა ჩანს ტექსტში?

კომპონენტი: ფაქტი, მოსაზრება, **დონე:** 3.1

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) დაახლოებით რამდენი წლის წინ ჩაფლეს მიწაში ტერაკოტის არმია.

ბ) რა სიღრმის თხრილში იყო ჩაფლული ტერაკოტის არმია.

გ) როგორ უფრთხილდებიან ჩინელები აღმოჩენილ ტერაკოტის არმიას.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ფიგურებმა ფერი, ალბათ, მიწაში დების გამო შეიცვალეს.

ბ) სავარაუდოდ, ჩინეთის მიწა კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს.

გ) მიწაში ჩაფლული ტერაკოტის არმია ჩინეთში 1974 წელს აღმოაჩინეს.

3 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) ტერაკოტის მეომრებს ჩვეულებრივი ადამიანის ზომა აქვთ.

ბ) ფიქრობენ, ჯერ მეომრის სხეულის ნაწილები შექმნეს, შემდეგ – ააწყვეს.

გ) რეტაკოტის მეომრები მშვილდითა და შუბებით არიან შეიარაღებული.

4 ტექსტში ნათქვამია, თუ:

ა) რა მიზნით შექმნეს ჩინელებმა ტერაკოტის არმია.

ბ) რატომ გამოიყენეს ჯარისკაცის ფიგურებისთვის ტერაკოტა.

გ) რა მიზნით შელებეს ჩინელებმა ტერაკოტის ფიგურები.

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მეომრებს შორის ბევრი **მხედარი** იყო.

   ა) მშვილდოსანი. ბ) შუბოსანი. გ) ცხენოსანი.

2. თხრილი **საგანგებოდ** არის დაცული.

   ა) მთლიანად. ბ) სპეციალურად. გ) ყოველთვის.

3. იქ ბევრი **საიდუმლო** იმალება.

   ა) განსაკუთრებული რამ. ბ) დაფარული რამ. გ) საინტერესო რამ.

2 დააკავშირე ხაზებით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

ფიგურა	ჯარი
იარაღი	გამოსახულება
არმია	აღჭურვილობა

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე სწორი ფორმით ფრხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ჩინეთში იპოვეს 150 *(მხედარი)* ---------- ფიგურა.

2. უკვე ცნობილია, რა *(მიზანი)* ---------- დაამზადეს ტერაკოტის ფიგურები.

2 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის,რაც შეღებეს, არის შეღებილი.

1. ის, რაც აღჭურვეს, არის ---------- .

2. ის, რაც შექმნეს, არის ---------- .

3. ის, რაც გადაეცალა, არის ---------- .

4. ის, რაც შეაერთეს, არის ---------- .

LIVEWORKSHEETS

გრამატიკა

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

თხრილი გადახურეს, ---------- საგანგებოდ იყოს დაცული. ***(რათა / რადგან)***

წერა

1 ამოწერე ტექსტიდან ფაქტები და მოსაზრებები.

ფაქტი	მოსაზრება
ტერაკოტის არმია 1974 წელს აღმოაჩინეს ჩინეთში.	ტერაკოტის არმია სავარაუდოდ 2200 წლის წინ შეიქმნა.

2 ტექსტში ნათქვამია: ეს ადგილი კიდევ ბევრ საიდუმლოს მალავსო. წარმოიდგინე, რომ მონაწილეობას იღებ ექსპედიციაში, რომელმაც ამ ახალ საიდუმლოს უნდა ახადოს ფარდა. დაწერე შენი არქეოლოგიური „აღმოჩენის“ შესახებ.

შენი ნაწერი გააფორმე ნახატით.

LIVEWORKSHEETS